

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	უცხო ენა (ინგლისური) – B2.2
სამიზნე ჯგუფი:	ნებისმერი ინდივიდი, რომელსაც სურს ზოგადი და პეოფესიული უნარების განვითარება
კურსის ავტორი	ინგა დიაკონიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მობ: 577187788; ელ.ფოსტა: inga.diakonidze@gtuni.edu.ge
კურსის ღირებულება:	300 ლარი
კურსის ხანგრძლივობა	15 კვირა
	საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში -3
სასწავლო კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	გთუნი-ს ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი

1. სასწავლო კურსის მიზნები:

კურსი წარმოადგენს B2 დონის ინგლისური ენის კურსის 2 ნაწილს. წინამდებარე სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტი დაეუფლოს ინგლისური ენის ყველა უნარს (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) B2.2 დონეზე და გაიმდიდროს ლექსიკა ბიზნესის სფეროს ტერმინოლოგიით. საქმიან სფეროში მოღვაწე ადამიანი უნდა ფლობდეს სათანადო ლექსიკას და ფრაზეოლოგიას მაღალ დონეზე, რათა მოლაპარაკებებზე, ბრიფინგებზე და სხვა საქმიან შეხვედრებზე მან შეძლოს განახორციელოს კომუნიკაცია გამართულ ინგლისურ ენაზე და მიაღწიოს სასურველ შედეგს. ამ მიზნის სრულყოფილად მისაღწევად, გარდა დარგობრივი ლექსიკისა სტუდენტები გაიმეორებენ და გაიღმავებენ გრამატიკის ცოდნას, დახვეწენ კითხვის, მოსმენის, საუბრისა და წერის უნარ-ჩვევებს.

2. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:

აღნიშნული კურსის შესწავლამდე სტუდენტს შესწავლილი უნდა ჰქონდეს დარგობრივი უცხო ენა - ბიზნესი, I ნაწილი, ან ენათა ფლობის ზოგადეფროპული კომპეტენციების ჩარჩოს მიხედვით B2(1) დონის ინგლისური ენის კურსი და მიღებული დადებითი შეფასება.

3. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:

სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

ცოდნა და გაცნობიერება: B2.2 დონის ბიზნეს თემატიკის ირგვლივ ლექსიკური მარაგის დამახსოვრება (განათლება და კარიერა, ხარისხი და სტანდარტი, მარკეტინგი, ფინანსური კონტროლი, ბუღალტერია, სამართლიანი ვაჭრობა და ა.შ.).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (B2.2 დონის შესაბამისი):

საუბარი: სხვადასხვა დარგობრივი სფეროს თემატიკის ირგვლივ ლექსიკური და გრამატიკული, ენობრივი სტილის ნორმატივების დაცვით საკუთარი მოსაზრების გამოხატვა. კითხვების დასმა, დიალოგის გამართვა, პროფესიულ საკითხებზე მსჯელობა - კამათი (მონოლოგური/ დიალოგური,

მოცემულ სიტუაციაზე მოთხოვნის აგება, დარგობრივად აქტუალურ თემებზე მოკლე პრეზენტაციის გაკეთება.

კითხვა: სპეციალიზირებული ტექსტის B2(2) დონის შესაბამისი მხატვრული, ინფორმაციული და სხვა ხასიათის ტექსტის წაკითხვა და შინაარსის, ისევე როგორც დეტალური ინფორმაციის გაგება.

წერა: ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად წერა (ოფიციალური და საქმიანი ბიზნეს წერილების შედგენა). სტუდენტი შეძლებს წერისას გამოიყენოს განვლილი ზოგადი და დარგობრივი (ბიზნესის) ლექსიკურ ერთეულები, გამოთქმები, კლიშეები და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციები.

მოსმენა: აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგება, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგება და შინაარსის გადმოცემა ბიზნეს სფეროდან. უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება (დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ); ზოგადი შინაარსის გასაგებად ნაცნობ სიტყვებზე დაყრდნობით ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, საუბრის თემა; ამოკრიბოს საჭირო ფაქტობრივი ინფორმაცია (ვინ, სად, როდის, რა, როგორი, რამდენი, რომელი, როგორ, რატომ და სხვა).

ლექსიკა: B2.2 დონის შესაბამისი ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი: კომუნიკაციის დამყარება თანამოსაუბრესთან, აუდიტორიასთან B2.2 დონის ბიზნეს თემატიკის ფარგლებში, მათ შორის წერილობით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.

სწავლის უნარი: ბიზნეს სფეროში მიმდინარე სიახლეების მოძიება და დაკავშირება ნასწავლ თემეტიკასთან.

4. სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი:

კურსი აგებულია საქმიანი გარემოსთვის დამახასიათებელ თემატიკასა და პრობლემატიკაზე. სტუდენტი ეცნობა ბიზნეს ტერმინოლოგიას, ის სწავლობს საქმიანი წრეებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ნორმებს და სპეციფიკას, ზეპირი და წერილი კომუნიკაციის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის საჭირო ფრაზეოლოგიზმებს და ენობრივ კლიშეებს. კურსის მსვლელობისას იქნება განხილული ბიზნესის სფეროს შემდეგი თემატური ტერმინოლოგია: განათლება და კარიერა, გასაუბრება, საინფორმაციო სისტემები და კომუნიკაციები, საქმიანი სატელეფონო საუბრები, სტანდარტი და ხარისხი, გუნდისა და პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგი და სხვა.

5. სასწავლო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა:

ძირითადი:

John Alison with Paul Emmerson _ The Business, intermediate B1-B2, Macmillan English, 2007, class CD/DVD material.

დამხმარე:

1. Anne Nebel, Rob Nicholas, Laser B2(workbook) , Macmillan English, 2008
2. Malcolm Mann, Steve Taylore-Knowles, Laser B2(SB), Macmillan English, 2008